სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: გერმანული ფილოლოგია /**German Philology**

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი დოქტ. ლალი ქეცბა–ხუნდაძე

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება
სადოქტორო პროგრამა არის კვლევაზე ორიენტირებული, სისტემურად სტრუქტურირებული უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის სასწავლო პროგრამა, რომელიც დოქტორანტს სთავაზობს ოპტიმალურ ინდივიდუალურ ხელმძღვანელობასა და ასევე ჯგუფურ კონსულტაციებს დოქტორანტურაში სწავლისა და სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისთვის განსაზღვრულ მთელს პერიოდში (6 სემესტრი).
მიზანი:
გერმანული ფილოლოგიის შემადგენელი ორი ქვედარგის – გერმანული ენათმეცნიერება და გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა (ახალი გერმანული ლიტერატურა და ძველი გერმანული ენა და ლიტერატურა/მედიევისტიკა) – ფარგლებში პრობლემის დაყენების, ამოსავალი თეორიული დებულებების განსაზღვრისა და მეცნიერული თეორიების გაგების, ათვისებისა და შეძენილი კომპეტენციების გამოყენების უნარი შესაბამისი ენობრივი (ტექსტების) კორპუსისა და მისი პრაქტიკული ანალიზისთვის სამეცნიერო მეთოდოლოგიური აპარატის გამოყენებით.

სადისერტაციო პროგრამის კვლევითი ნაწილი მოიცავს ორივე ქვედარგის ცალკეული პრობლემების კვლევას, რაც არ გამორიცხავს ინტერდისციპლინარულ მიდგომებს გარკვეული საკითხებისადმი.

გერმანული ენათმეცნიერება
ა) პრაგმატიკული დისკურსების ლინგვისტური კვლევა – ამ პრობლემატიკის შიგნით ფილოსოფიური, ეკონომიკური, იურიდიული და სამეცნიერო დისკურსების ინტერდისციპლინარულად ორიენტირებული ლინგვისტური კვლევები.
ბ) პუბლიცისტური დისკურსის მედიალური თავისებურებების ლინგვისტური კვლევა
გ) ფიქციონალური (პროზის და ლირიკის) დისკურსის ლინგვისტური კვლევა.
დ) კონტრასტული – გერმანული და ქართული ენების ცალკეული მოვლენების შეპირისპირებითი და კულტურკონტრასტული კვლევები.

გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა
ა) ინტერკულტურული ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემები,
გერმანულ–ქართული კომპარატისტული კვლევები
ბ) მხატვრული ლიტერატურის რეცეფცია
გ) ახალი გერმანული ლიტერატურის პრობლემები
დ) მედიევისტური კვლევები

- მიმართულების პროფესურის მიერ ორივე ქვედარგშია წარმოადგენილი თეორიულ და მეთოდოლოგიურ დისციპლინათა ფართო სპექტრი, რომელიც ინტერდისციპლინარულ კვლევებზეა ორიენტირებული. თანამედროვე გერმანულენოვანი ფილოლოგიების კვალდაკვალ ტრადიციული დიფერენციაციის საფუძველზე იქმნება კვლევის ახალი პერსპექტივა, რომელიც ეფუძნება ფილოლოგიის ამ ორი ქვედარგის უმნიშვნელოვანესი ასპექტების ურთიერთკავშირს.
- პროგრამა მიმართულია უპირველეს ყოვლისა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) მაღალი კომპეტენციების და შესაბამისად, აკადემიური მაჩვენებლების მქონე კურსდამთავრებულებზე.

- წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური ქართველი მეცნიერების მომავალი თაობის აღზრდას, რომელიც საერთაშორისო კვლევების თანამონაწილე იქნება გერმანისტიკის დარგში.
- სადოქტორო პროგრამის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს ინტერნაციონალური თანამშრომლობის გაძლიერება ინსტიტუტთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში გერმანისტიკის დარგში და ამით გერმანელი მეცნიერების ჩართვა სწავლებისა და კვლევის პროცესში.

პროგრამაში შეთავაზებული პრობლემები აქტუალურია და გულისხმობს თანამედროვე მეცნიერულ მიდგომებს ევროპული დონის შესაბამისად, რაც აუცილებელს ხდის დარგობრივი კომპეტენციების გაღრმავებას და კვლევის უახლესი მეთოდების დანერგვას. მიმართულების პროფესურის მიერ ჩატარებული სემინარები და დოქტორანტების კოლოქვიუმები არა მხოლოდ უახლესი მეცნიერული მიღწევების განხილვის, დისკუსიის წაყვანის და მონაწილეობის, არამედ ამ პროცესში არგუმენტირებული მსჯელობის, გერმანული სამეცნიერო ლიტერატურისადმი კრიტიკული დამოკიდებულების გამომუშავების საშუალებას იძლევა. სემინარები და დოქტორანტთა კოლოქვიუმები ტარდება გერმანულსა და ქართულ ენებზე, ხოლო ნაშრომის ქართულ ენაზე შესრულება და საჯარო დაცვა ხელს უწყობს ქართული სამეცნიერო ენის განვითარებასა და გამდიდრებას.

პროგრამაზე შემსვლელი პირის მიერ ინდივიდუალურად, სპეციალობის მიხედვით შერჩეული სამეცნიერო მონოგრაფიის 15 გვერდიანი წერილობითი რეფერატის ჩაბარება გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტში დანიშნული გასაუბრების წინ.

შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

დოქტორანტი იძენს: ფილოლოგიურ – ლინგვისტურ ან ლიტერატურათმცოდნეობით კომპეტენციებს, დარგობრივ ცოდნას, პრობლემატიკის შერჩევისა და გადაჭრის უნარებს, ეუფლება ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდებს, ხოლო გერმანული ლიტერატურის ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში გააზრება საშუალებას იძლევა ინტერკულტურული კვლევების განხორციელებისათვის ლიტერატურათმცოდნეობის და კონტრასტული კვლევებისა – გერმანული ენათმეცნიერების დარგებში;
ინტერდისციპლინური მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი ხდება სხვადასხვა სახის დისკურსის ლიტერატურული და ლინგვისტური კვლევები.

პრაქტიკული უნარები

მშობლიურსა და უცხო ენაზე: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის განხორციელების, დისკუსიის წარმართვა დარგობრივ საკითხებზე და კონსტრუქციული გზით კრიტიკული შეხედულებების გამოხატვის უნარი; საკვლევი კორპუსის შერჩევის, სისტემატიზაციის, ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი; სეკუნდარული ლიტერატურის კრიტიკული შეფასებისა და დალაგების, კვლევის შედეგების შეჯერების უნარი; ფილოლოგიური კვლევის სხვადასხვა მიმართულებების პრობლემებისა და მეთოდების გამოყენებისა და შეჯერების უნარი; სამეცნიერო კვლევის თანამედროვე დონეზე წარმოების შედეგად მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომში თეორიული დასკვნების გამოტანა და ამრიგად კვლევის წარმატებით დასრულება, შეძენილი კომპეტენციების სამეცნიერო/უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს ან პრაქტიკულ, კონკრეტულ გარემოში გამოყენება.

ზოგადი / ტრანსფერული უნარები

კოგნიტური უნარები: ნაციონალურსა და უცხო კულტურების შესწავლის საფუძველზე ზოგადი და განსხვავებული პერსპექტივების გააზრებისა და პატივისცემის, ტექსტური

კორპუსის ანალიზისა და სინთეზის, კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ბაზის შექმნის, სამეცნიერო ტექსტის სახეობების შექმნისა და/ან გამართულად თარგმნის უნარი.
მეთოდოლოგიური მიდგომები: კვლევის თითოეული საფეხურის სტრატეგიულ დაგეგმვის (დროის მართებული განაწილება სადისერტაციო ნაშრომსა და საკვლევ პროექტებში);

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები
საკვალიფიკაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შემდგომ კურსდამთავრებულთა დასაქმება შესაძლოა მოხდეს:

- უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში (უნივერსიტეტი)
- კვლევით ინსტიტუტებში (ენათმეცნიერების, ლიტერატურის, ისტორიის, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში)
- მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო
- საქართველოში არსებულ გერმანულ ინსტიტუციებში (მაგ., გოეთეს ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური დახმარების ცენტრი და ა.შ.)

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი – ძირითადი სპეციალობა გერმანული ფილოლოგია.
 თუმცა ენის სათანადო დონეზე ცოდნისა და ჰუმანიტარული განათლების ფლობის შემთხვევაში დასაშვებია გამონაკლისები. გარდა გერმანული ენისა სასურველია სხვა ევროპული ენების ფლობა.

სასწავლო კომპონენტი
პროგრამა ხორციელდება გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მხარდაჭერით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტისა და დიუსელდორფის ჰაინრიხ ჰაინეს სახელობის უნივერსიტეტის ფისლოსოფიის ფაკულტეტის გერმანისტიკის სემინარის შესაბამის კათედრებთან (გერმანისტიკა I – გერმანისტული ლინგვისტიკა, გერმანისტიკა II – უახლესი გერმანული ლიტერატურა, გერმანისტიკა III – შუასაუკუნეების გერმანული ენა და ლიტერატურა) ინსტიტუტთაშორისი პარტნიორობის ფარგლებში. კონსულტანტები გერმანული მხრიდან:
გერმანისტიკა I – **პროფ. დოქტ. დიტრიხ ბუსე, პროფ. მარტინ ვნგელერი, დოქტ. ჰანს შარფი;**
გერმანისტიკა II – **პროფ. დოქტ. სიბილე შენბორნი**
გერმანისტიკა III – **პროფ. დოქტ. ჰელმუტ ბრალ–ტუხელი**

გერმანული ენათმეცნიერება

დასახელება	**ECTS**
საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნები და აქტივობები	
სწავლების თანამედროვე მეთოდები	5 კრედიტი (სავალდებულო)
პროფესორის ასისტენტობა	5 კრედიტი (სავალდებულო)
დოქტორანტის I კოლოკვიუმი	5 კრედიტი (სავალდებულო)
დოქტორანტის II კოლოკვიუმი	5 კრედიტი (სავალდებულო)

მეცნიერების მენეჯმენტი	5 კრედიტი (არჩევითი)
სულ:	**25 კრედიტი**
საფაკულტეტო საგნები და აქტივობები	
თეორიული ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები/ან სინტაქსის თანამედროვე თეორიები	5 კრედიტი (არჩევითი)
ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა	10 კრედიტი (არჩევითი)
დარგობრივი დისციპლინები და აქტივობები	
გერმანული ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები	5 კრედიტი (სავალდებულო)
გერმანული ენათმეცნიერების მიმართულებები	5 კრედიტი (სავალდებულო)
სპეციფიკური დარგობრივი კურსები [1]	20 კრედიტი (არჩევითი)
PhD დონეზე სამეცნიერო მუშაობის ტექნიკა გერმანისტიკის დარგში	5 კრედიტი (არჩევითი)
უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი[2]	5–60 კრედიტი (არჩევითი)
და სხვ.	
სულ:	**35 კრედიტი**

[1]ზემოხსენებული სპეციფიკური დარგობრივი კურსები დაკონკრეტდება დოქტორანტის საკვალიფიკაციო ნაშრომის თემატიკისა და მისი მოთხოვნის შესაბამისად.

[2]გერმანული საგანმანათლებლო და კვლევითი ფონდების სტიპენდიის მიღების შემთხვევაში დოქტორანტს შეუძლია სასწავლო კომპონენტის შემადგენელი კრედიტების შესაძლო მაქსიმალური რაოდენობა დააგროვოს უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა

დასახელება	**ECTS**
საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნები და აქტივობები	
სწავლების თანამედროვე მეთოდები	5 კრედიტი (სავალდებულო)
პროფესორის ასისტენტობა	5 კრედიტი (სავალდებულო)
დოქტორანტის I კოლოკვიუმი	5 კრედიტი (სავალდებულო)
დოქტორანტის II კოლოკვიუმი	5 კრედიტი (სავალდებულო)
მეცნიერების მენეჯმენტი	5 კრედიტი (არჩევითი)
სულ:	**25 კრედიტი**
საფაკულტეტო საგნები და აქტივობები	
მე–20 საუკუნის ლიტერატურული მიმდინარეობები და კონცეფციები	5 კრედიტი (არჩევითი)
ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა	10 კრედიტი (არჩევითი)
დარგობრივი დისციპლინები და აქტივობები	
გერმანული ლიტმცოდნეობის კვლევის მეთოდები	5 კრედიტი (სავალდებულო)
გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა I გერმანული ლიტერატურის თეორია	10 კრედიტი (სავალდებულო)
გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა II გერმანული ლიტერატურის ისტორია	10 კრედიტი (სავალდებულო)
სპეციფიკური დარგობრივი კურსები[1]	10 კრედიტი (არჩევითი)
PhD დონეზე სამეცნიერო მუშაობის ტექნიკა გერმანისტიკის დარგში	5 კრედიტი (არჩევითი)
უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი	5–60 კრედიტი
და სხვ.	
სულ:	**35 კრედიტი**

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ–ტექნიკური ბაზა
დეპარტამენტში არის სამი კომპიუტერი, ორი პრინტერი, სამი ქსეროქსი და სხვა საშუალებები, მათ შორის მდიდარი თანამედროვე მეცნიერული ლიტერატურით ორივე ქვედარგში გერმანისტული ბიბლიოთეკა, რომელიც დრო და დრო ივსება გერმანული ფონდებისა და ინსტიტუტთაშორისი პარტნიორობის ფარგლებში მოქმედ პროექტების საფუძველზე.
ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე ამჟამად სასურველია არაუმეტეს 5 დოქტორანტის მიღება

PhD სასწავლო კომპონენტის შემსრულებელი პროფესორები:
გერმანული ენათმეცნიერება:
პროფ. ლალი ქეცბა–ხუნდაძე
ასოც. პროფ. ნანა გოგოლაშვილი, ასოც. პროფ. ნინო ქიმერიძე, ასოც. პროფ. მარინა ანდრაზაშვილი, ასოც. პროფ. ნუნუ კაპანაძე,
მოწვეული უცხოელი პროფესორები:პროფ. დოქტ. სიბილე შენბორნი, პროფ.დოქტ.ზებასტიან ლიობნერი, პროფ.დოქტ.ჰელგა კოტოფი, პროფ.დოქტ. ჰელმუტ ბრალ–ტუხელი (2008/2009წ)
ასევე: მოწვ. პროფ. ოლეგ კაპანაძე
გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა:
პროფ. დალი ფანჯიკიძე
ასოც. პროფ. ალექსანდრე თვარაძე, ასოც. პროფ. ნანა გოგოლაშვილი
მოწვ. პროფ. ლევან ცაგარელი